



საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის  
სააგენტო



## შეხვედრა საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში

### თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის იმპლემენტაცია საქართველოში

**12 ოქტომბერს, 14:00 საათზე** საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან შეხვედრას გამართავს. შეხვედრის თემა - თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის იმპლემენტაცია საქართველოში. შეხვედრის მხარდამჭერები არიან ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის სამდივნო (WHO FCTC).

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის დანერგვის კონსოლიდირებული სამოქმედო გეგმა, მიმოხილულ იქნება აქტივობები, რომლებიც უნდა დაიწყოს უახლოეს მომავალში.

შეხვედრას დაესწრებიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. ღონისძიებაზე დასასწრებად საქართველოს ეწვევა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO), თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის სამდივნოს (FCTC), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP), „თამბაქოსაგან თავისუფალი ბავშვების“ (TFK) წარმომადგენლები და საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი.

თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის დანერგვის ხელშეწყობისათვის, ამ სფეროში თანამედროვე, ევროპული მიდგომების მომცველი პოლიტიკის დანერგვის მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ჩართულობის გაძლიერება, მათი ინფორმირებულობის დონის ამაღლება.

**მისამართი:** თბილისი, რუსთაველის გამზ. N8 (ბაგრატიონთა დარბაზი, კორპუსი A)

#### საკონტაქტო პირები:

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი: მადონა ნოზაძე, 599-557978, [www.parliament.ge](http://www.parliament.ge)  
 ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი: ელენე ჟორჟოლაძე 599 957740  
[www.elenezhorzholadze@gmail.com](mailto:www.elenezhorzholadze@gmail.com)